საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ოკეანე

ოკეანეებსა და ზღვებს დედამიწის ზედაპირის ნახევარზე მეტი უჭირავს. ამის გამო ჩვენი პლანეტა კოსმოსიდან ლურჯ სფეროდ მოჩანს. დედამიწაზე ხუთი ოკეანეა. ესენია: **წყნარი ოკეანე, ატლანტის ოკეანე, ინდოეთის ოკეანე, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე და სამხრეთის ოკეანე.** ხუთივე ოკეანეს შორის წყალი თავისუფლად გაედინება და ქმნის მსოფლიო ოკეანეს.

წყნარი ოკეანე უდიდესი წყლის რეზერვუარია. ლათინურად მისი სახელწოდება მშვიდ ზღვას ნიშნავს. ეს სახელი ცნობილმა მოგზაურმა ფერნანდო მაგელანმა უწოდა. წყნარ ოკეანეში დაახლოებით 25 ათასი კუნძულია. ოკეანეს აქტიური ვულკანების ჯაჭვი აკრავს. მათ **ცეცხლოვან რკალსაც** უწოდებენ. წყნარი ოკეანის რეგიონში ხშირია ტროპიკული შტორმები - **ტაიფუნები**. ეს ვულკანებისა და წყალქვეშა მიწისძვრების შედეგია. წყნარ ოკეანეშია მსოფლიოს ყველაზე ღრმა წერტილი, **მარიანას** ღრმული. მისი სიღრმე 11 კილომეტრს აღემატება.

ატლანტის ოკეანე სიდიდით მეორეა მსოფლიოში. ოკეანის სახელი ბერძნული მითოლოგიიდან მოდის და ატლასის ზღვას ნიშნავს. ის აღმოსავლეთით ევროპისა და აფრიკის კონტინენტებს ესაზღვრება, დასავლეთით - ამერიკის კონტინენტს. შავი ზღვა ატლანტის ოკეანის აუზშია. წყნარ და ატლანტის ოკეანეებს ხელოვნურად აკავშირებს პანამის არხი.

ინდოეთის ოკეანე სიდიდით მესამე წყლის აუზია მსოფლიოში. ის ესაზღვრება აზიას, აფრიკასა და ავსტრალიას. ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულები კონტინენტების სიახლოვესაა. ოკეანის სამხრეთ ნაწილში ბევრი აისბერგი დაცურავს.

LIVEWORKSHEETS

ჩრდილოეთის ყინულოვანი ანუ არქტიკის ოკეანე მსოფლიოს ხუთი ოკეანიდან უმცირესია როგორც სიდიდით, ისე სიღრმით. ოკეანის ზედაპირის უდიდესი ნაწილი დაფარულია ყინულით, რომელიც არასოდეს არ დნება. აქედან მოდის მისი სახელწოდებაც.

სამხრეთის ოკეანეს სხვანაირად **ანტარქტიკის** ოკეანესაც უწოდებენ. ის 2000 წელს აღიარეს ცალკე ოკეანედ. სიდიდით მეოთხეა. მისი წყლის ზედაპირის დიდი ნაწილი ზამთარში იფარება ყინულით. სამხრეთის ოკეანეს მხოლოდ ამერიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილთან აქვს სრუტე.

ოკეანის წყალი მლაშეა, რადგან მასში უამრავი მინერალია გახსნილი. ოკეანე რომ დაშრეს, 50 მეტრი სისქის მარილის ფენა დარჩება.

მსოფლიო ოკეანეს უამრავი ბინადარი ჰყავს. სიცოცხლე ძირითადად ზედა ფენებშია მრავალფეროვანი. ამის მიზეზი ის არის, რომ იქ საკმარისი სინათლეა. ეს დაახლოებით 200 მეტრი სიღრმეა. ოკეანეების ფსკერზე ღრმა ხეობები, მაღალი მთები, მცენარეების ტყეებია. ნავთობის საბადოც კი არის. ამ მდიდარ სამყაროს ხშირად შესწავლის მიზნით მყვინთავები სტუმრობენ. სამწუხაროდ, მათ მხოლოდ 150 მეტრის სიღრმეზე შეუძლიათ ჩასვლა.

ოკეანოლოგები სპეციალური აღჭურვილობით იკვლევენ მსოფლიო ოკეანის სიღრმეებს. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე მხოლოდ მათი ნაწილის შესწავლა მოხერხდა. კვლევის შედეგები წარმოდგენილია მონაკოს **ოკეანოგრაფიულ** მუზეუმში. აქ მნახველს შეუძლია დაათვალიეროს ზღვის ცხოველების ფიტულები და ცოცხალი ბინადრები, გემების მოდელები, უნიკალური ხელსაწყოები და ოკეანესთან დაკავშირებული სხვა საინტერესო მასალა.

LIVEWORKSHEETS

წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

1. **რატომ მოჩანს კოსმოსიდან დედამიწა ლურჯ სფეროდ?**

ა) მის ზედაპირზე აქტიური ვულკანების მთელი ჯაჭვია.
ბ) მის ზედაპირზე ორი უზარმაზარი ყინულოვანი ოკეანეა.
გ) მისი ზედაპირის დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული.

2. **რა იწვევს ოკეანეში შტორმებს?**

ა) ვულკანები და მიწისძვრები.
ბ) ნავთობის მდიდარი საბადოები.
გ) წყლის ფსკერის რელიეფი.

3. **რომელ ოკეანეს უჭირავს ყველაზე პატარა ფართობი?**

ა) ინდოეთის ოკეანეს.
ბ) სამხრეთის ოკეანეს.
გ) ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს.

4. **რის გამო იქმნება მსოფლიო ოკეანე?**

ა) ოკეანეების ფსკერზე მთები და ღრმულებია.
ბ) ოკეანეების წყლები ერთმანეთში გადადის.
გ) ოკეანეებში წყალი მინერალებისაგან შედგება.

5. **რატომ ბინადრობენ ცოცხალი არსებები ძირითადად ოკეანის ზედა ფენებში?**

ა) ისინი ოკეანის ფსკერის ღრმა ხეობებსა და მთებს ერიდებიან.
ბ) სიცოცხლის წყარო - მზის სინათლე - სიღრმეში ვერ აღწევს.
გ) ცოცხალ არსებებს ვულკანები და მიწისძვრები აფრთხობს.

6. **რატომ არის რთული ოკეანეების სიღრმეების შესწავლა?**

ა) ოკეანის ფსკერზე წყალმცენარეების ტყეებია.
ბ) ოკეანის წყალი გაჯერებულია მინერალებით.
გ) სპეციალისტები ოკეანის სიღრმეებში ვერ ჩადიან.

LIVEWORKSHEETS